

Georgian Internet Governance 4th Forum (GeoIGF)

საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე-4 ფორუმი (GeoIGF)



Forum Report ფორუმის ანგარიში



Internet
Governance
Forum
Support
Association



Internet
Society



RIPE NCC
RIPE NETWORK COORDINATION CENTRE



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA



Telecom Operators Association



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION



Internet Society
Georgia Chapter



MOMATBILISI
Museum of Modern Art Tbilisi



system
ს ი ს ტ ე მ ე ტ მ

2018

Executive Summary

რეზიუმე

2018 წლის 11 დეკემბერს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში საქართველოს ინტერნეტმმართველობის მე-4 ფორუმი ჩატარდა. ფორუმის მონაწილე 120-ზე მეტმა ადამიანმა საქართველოდან და 25-მა მოწვეულმა სპიკერებმა და უცხოელმა სტუმრებმა განიხილეს საქართველოს ინტერნეტ სივრცისთვის მნიშვნელოვანი საკითხები 6 სესიაზე:

- 1.0 ინტერნეტთან წვდომა და ფართოზოლოვანი „დაშორება“ – სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები
- 2.0 უსაფრთხო ინტერნეტის „თავსატეხი“ და საქართველო
- 3.1. GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .გე ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები – განვითარების ტენდენციები და გამოწვევები
- 3.2. ინტერნეტ კონტენტი და საავტორო უფლებები – საქართველო და ევროკავშირი
- 4.1. ინტერნეტ ბაზარი – კონკურენცია და სხვა ბარიერები
- 4.2. მომხმარებლების ინტერნეტ მზადყოფნა

საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი GeoIGF2018, ჩატარდა დაინტერესებულ მხარეთა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, რომელიც ჩამოყალიბებულია 30-ზე მეტი ინსტიტუტის, საჯარო და კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების წარმომადგენლების მიერ. ფორუმის მხარდამჭერები არიან საქართველოს სახელმწიფო, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე ადგილობრივი სპონსორები და მოხალისეები.

The 4th Georgian Internet Governance Forum took place in Tbilisi on December 11, 2018 at Museum of Modern Art Tbilisi.

More than 120 participants from Georgia and 25 foreign speakers and guests discussed Internet space issues, important for Georgia, at the six following sessions:

- 1.0 Access to the Internet and Broadband Gap – main connectivity developments and Future of the Community networks in Georgia
- 2.0 Safe Internet Puzzle and Georgia
- 3.1. GE ccTLD and .გე IDN ccTLD – latest developments and challenges
- 3.2. Internet Content and Copyrights – Georgia and EU
- 4.1. competition and Georgian Internet market
- 4.2. Internet readiness of Consumers

The Georgian IGF2018 was organized by multi-stakeholder organizing committee established by more 30 institutions, individuals, Georgian Public and Private sector representatives, civil society and Academia.

The forum was supported by Georgian state, several international organizations, as well as, local sponsors, supporters and volunteers.

Preparatory Activities

მოსამზადებელი აქტივობები

2015 წლის დეკემბერში ევროპის საბჭოს ორგანიზებით საქართველოში პირველად ჩატარდა ეროვნული ინტერნეტმმართველობის ფორუმი, 2016 წლის დასაწყისში შეიქმნა ფორუმის ახალი საინიციატივო ჯგუფი, დამტკიცდა ფორუმის წესდება და არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტი და კოორდინატორი. 2016 წლის სექტემბერში ჩატარდა რიგით მეორე, ხოლო 2017 წლის სექტემბერში მესამე საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია [ამ ბმულზე](#). მესამე ფორუმის ანგარიშის პრეზენტაციის შემდეგ დაიწყო რიგით მეოთხე ფორუმის მომზადება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

In December 2015, for the first time, Council of Europe organized National Internet Governance Forum in Georgia. In the beginning of 2016 the new forum initiative group was formed. forum charter has been approved, organizing committee and a forum coordinator has been selected. The second and third Georgian Internet Governance Forum were held in September 2016 and 2017 accordingly. Information about these forums is available at the [link below](#). After the presentation of the third forum report, the forth forum preparation started with the following activities:



დროის პერიოდი/ Timeline	აქტივობა/Activities
2018 წლის თებერვალი/February 2018	ფორუმის წევრების შეკრება და საორგანიზაციო კომიტეტის არჩევნები, კოორდინატორის არჩევა/Gathering of the forum members. Elections of the organizing committee and the coordinator
2018 წლის მაისი/May 2018	სამოქმედო გეგმის და წინასწარი ბიუჯეტის მომზადება/Preparation of action plan and initial budget
2018 წლის ივნისი/June 2018	ბიუჯეტის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება, მოხალისეების კოორდინატორის არჩევა/Approval of the budget and the action plan, volunteers coordinator selection
2018 წლის ივნისი/June 2018	გეგმის რეალიზაციის შუალედური ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება/The discussing and confirmation of the interim report
2018 წლის ივლისი/July 2018	საორგანიზაციო კომიტეტის შეხვედრები, დღის წესრიგის საბოლოო რედაქციის დამტკიცება/The Organizing Committee meeting, approving the final edition of the agenda
2018 წლის ნოემბერი/November 2018	ფორუმის წინა სამუშაოების და გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა და დამტკიცება/ Acceptance of the preparatory works and implementation plan
2019 წლის იანვარი/January 2019	ანგარიშის მომზადება და თარგმნა/Report preparation and translation

Preparatory Activities

მოსამზადებელი აქტივობები


2016 წელს ინტერნეტმმართველობის ფორუმში გაერთიანდა 30-მდე ორგანიზაცია და ფიზიკური პირი. 2017 წელს ამ რაოდენობას დაემატა Georgian Internet Exchange – GIX ფიზიკური პირი – ზვიად ქორიძე. 2018 წლის ფორუმის აღმასრულებელ კომიტეტში არჩეულ იქნა 5 წევრი ფორუმის საქმიანობის უმთავრესი პრინციპები წარმოდგენილია მრავალმხრივ შეთანხმებაში, კერძოდ:

- ინტერნეტში, დემოკრატიული პროცესების და კანონის უზენაესობის ხელშეწყობა;
- ინტერნეტმმართველობის განხორციელების ხელშეწყობა ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით;
- საერთაშორისო რეგულაციების და ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ხელშეწყობა;
- მომხმარებლების უფლებების და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა;
- ინტერნეტის უნივერსალიზაციის ხელშეწყობა;
- ინტერნეტის უსაფრთხოების და საიმედოობის, მდგრადობის და სანდოობის ხელშეწყობა;
- ინტერნეტმმართველობის დეცენტრალიზებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მიდგომების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;
- ინტერნეტ სექტორში ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიების და სერვისების დანერგვის ხელშეწყობა;
- ღია დაშვების და მომხმარებლისთვის არჩევანის თავისუფლების პრინციპების დანერგვა;
- ინტერნეტში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ხელშეწყობა, ლოკალური შინაარსის მოცულობის ზრდის განვითარების ხელშეწყობა;

In 2016 Internet Governance Forum united up to 30 organizations and individuals. In 2017 Georgian Internet Exchange – GIX and Zviad Koridze joined the community. In 2018 5 members expressed their interest to become members of the Executive Committee.

The main principles of the forum activities are presented in a multilateral agreement, namely:

- Protection of fundamental human rights in the internet, supporting rule of law and democratic processes;
- Support internet governance by involving all stakeholders;
- Supporting international regulations and countries' legislation harmonization processes;
- Supporting customer rights and strengthening their opportunities;
- Supporting Internet universality;
- Supporting Internet safety and reliability, conditions and thrust;
- Supporting establishment of decentralized, socially responsible approach;
- Supporting innovations and technologies in the Internet;
- Implementing open access and freedom of choice principles;
- Supporting cultural and linguistic diversity in the Internet, increasing development of the local content.



Preparatory Activities

მოსამზადებელი აქტივობები

ფორუმის წესდება ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს, ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) და ინტერნეტმმართველობის ფორუმის სამდივნოს რეკომენდაციებს და საუკეთესო პრაქტიკას. ზემოაღნიშნული გულისხმობს ფორუმის დღის წესრიგის შემუშავების მრავალმხრივი ჩართულობის მოდელს, ასევე ფორუმის ორგანიზებას მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალურ გამჭვირვალობით და მხარეთა ძლიერი ჩართულობით. ინტერნეტმმართველობის ფორუმს საფუძვლად უდევს ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობა, სადაც ჩართულია 5 დაინტერესებული ჯგუფი: მთავრობა, კერძო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, სამეცნიერო – საგანმანათლებლო და ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. ფორუმის ყველა მონაწილე თანაბარი დონის პარტნიორად მოიაზრება. დეტალური ინფორმაცია გთხოვთ იხილოთ [აქ](#).

ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტის შეკრება ჩატარდა 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სადაც შეირჩა ფორუმის აღმასრულებელი კომიტეტი, მასპინძელი ორგანიზაციები და კოორდინატორი. შეხვედრაზე ასევე დამტკიცდა ღონისძიების თარიღი – 2018 წლის 11 დეკემბერი. ფორუმის მასპინძლებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და ISOC-ის ადგილობრივი წარმომადგენლობა დასახელდა.

ფორუმის მხარდაჭერის სურვილი გამოთქვეს: ინტერნეტმმართველობის ფორუმის მხარდაჭერმა ასოციაციამ (IGFSA), ინტერნეტ საზოგადოებამ (ISOC), RIPE NCC-მ, ევროპის საბჭომ, ICANN-მა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაციამ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ, ინტერნეტ საზოგადოების საქართველოს ფილიალმა, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა, და სისტემენტმა.

The Charter of the Forum is based on the recommendations and best practices of the United Nations Internet Governance Forum (IGF) represented by the IGF Secretariat, the Council of Europe, the Internet Society (ISOC) and implies the multilateral engagement model of development of the Forum agenda, organization of the Forum with minimal costs and maximum transparency, and maximum involvement of the parties. The national Internet Governance Forum of Georgia is based on the cooperation of all stakeholders, bringing together 5 interested groups: government, private sector, civil society, the experts of scientific and educational and technology fields and the representatives of international organizations. All the participants are taking part in the forum as equal partners. Please, find detailed information [here](#).

Meeting of forum executive committee took place in September-October 2018 where, executive committee members, host organizations and coordinator were chosen. Besides, 11 December, 2018 was approved as a forum date. Ministry of Economy and Sustainable Development, Georgian National Communications Commissions and local representative of ISOC were selected as a forum host.

The following organizations expressed their interest to support the GeoIGF2018: IGFSA, ISOC, RIPE NCC, European Council, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, TOA, GNCC, ISOC Georgia, MOMA Tbilisi, Systemnet.

Forums' Key Organizational Issues

ფორუმის ორგანიზების საკვანძო საკითხები

საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი აერთიანებს საქართველოს ინტერნეტმმართველობის საკითხებით დაინტერესებულ პირებს და მისი წევრობა თავისუფალია. ფორუმში გაწევრიანება შესაძლებელია რეგისტრაციის გარეშე და არ წარმოშობს რაიმე ტიპის ფინანსურ ან სხვა სახის ვალდებულებებს. ფორუმის საზოგადოების წევრობა ღიაა და მიმართვის წარდგენისთანავე ყველა დაინტერესებული პირი ხდება მისი წევრი.

საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმის მიზანია საჯარო კონსულტაციების პროცესის ხელშეწყობა, ლოკალური პრობლემების იდენტიფიცირება ყველა დაინტერესებული მხარის, როგორც უშუალო, ისე დისტანციური, ჩართულობით. ფორუმი უზრუნველყოფს სახელმწიფო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და ტექნიკური საზოგადოების ჩართულობას.

„ინტერნეტმმართველობის საზოგადოების“ წესდებით მიხედვით, საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად, ერთი წლის ვადით, შეიქმნა საქართველოს „ინტერნეტმმართველობის ფორუმის კომიტეტი“. დადგენილი პარიტეტული კვოტების მიხედვით, კომიტეტში დაინტერესებული პირები ნაწილდებიან შემდეგ 5 ჯგუფად: სამთავრობო, კომერციული, არასამთავრობო, აკადემიური (ასევე ტექნიკური დარგის ექსპერტები, ინფორმაციული საზოგადოების წარმომადგენლები) და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

Georgian Internet Governance Forum unites all entities, interested in the Internet governance issues and membership is free of any charges.

Georgian Internet governance forum aims to support process of public consultations, identification of local problems, involvement of all stakeholders, both locally or remotely. It ensures involvement of government, civil society, private, academic and engineering communities.

Participation in IGF is voluntary. registration is possible without providing any public certificate and doesn't create financial or any other liability. The membership of the society is open, and any interested entity could instantly become a member.

By following the laws Internet Governance Society appointed Internet Governance Forum Committee. The Committee is elected for one year and is responsible for taking care of the organizational issues. According to the established quotas, committee members are divided into the following groups: government, commercial, non-governmental, academic (also experts of technical field, representatives of information society) and representatives of international organizations.



Opening and welcome speeches ფორუმის გახსნა – მისასალმებელი სიტყვები



ფორუმის გახსნას მოდერირება გაუწია საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ, **უჩა სეთურმა**, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოწვეული სტუმრები. უჩა სეთურმა პირველი სიტყვა გადასცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსს, ეკა ყუბუსიძეს.

The moderator of opening session was **Mr. Ucha Seturi**, Executive Director, Small and Medium Telecom Operators Association of Georgia, who presented guests to the audience. Mr. Seturi gave floor to **Ms. Eka Kubusidze**, Head of Communications, Information and Modern Technologies Department, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia for her welcome speech.

ფორუმი გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა, **ეკა ყუბუსიძემ** და მადლობა გადაუხადა ფორუმის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერ ორგანიზაციებს. მან ხაზი გაუსვა წინა წლების ინტერნეტმმართველობის ფორუმების წარმატებულ ჩატარებას და აღნიშნა, რომ წლიდან წლამდე ფორუმი ახალ ეტაპზე გადადის და რეგიონული მასშტაბის მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება. საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმის მნიშვნელოვნება გამოდინარეობს ყველა იმ ჩართული მხარიდან როგორებიცაა, კერძო, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები, დარგის ექსპერტები და ახალგაზრდა თაობა. ეკა ყუბუსიძემ ასევე ხაზი გაუსვა იმ პროგრესს, რომელიც საქართველომ ფართოზოლოვანი განვითარების მიმართულებით აჩვენა.

Ms. Eka Kubusidze, Head of Communications, Information and Modern Technologies Department, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia gave a welcoming speech, and expressed her gratitude to supporting organizations. She emphasized the successful implementation of previous years' Internet Governance Forum of Georgia and noted that IGF goes to the new level year by year and it truly represents the most important event of regional scale. IGF's importance comes from its multi-stakeholder involvement nature as it combines state, private, NGO sectors, academia, professionals and young generation. Ms. Kubusidze highlighted the progress Georgia has made in terms of broadband development.



Opening and welcome speeches

ფორუმის გახსნა – მისასალმებელი სიტყვები



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ირინე აბულაძემ, მისასალმებელ სიტყვაში სკოლების ინტერნეტთან წვდომის აუცილებლობაზე ისაუბრა. მან გამოკვეთა ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და აღნიშნა, რომ განათლების სამინისტრო თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან და კერძო სექტორთან იმისათვის, რომ მომავალში ყველა სკოლას ჰქონდეს წვდომა ინტერნეტთან. მან სკოლის მოსწავლეებში ინტერნეტთან წვდომის ისეთ საფრთხეზეც გაამახვილა ყურადღება როგორცაა ბულინგი. ინტერნეტ სივრცეში ბავშვები ბულინგის სამიზნეები შეიძლება ადვილად გახდნენ. მინისტრის მოადგილემ სამინისტროს სახელით გამოთქვა მზაობა თანამშრომლობისთვის ყველა იმ დაინტერესებულ მხარესთან, ვინც გეგმავს ამ მიმართულებით თავისი ხედვების და პრობლემის გადაჭრის გზების გაზიარებას.

Deputy Minister of Education, Science, Culture and Sport of Georgia, **Ms. Irine Abuladze** in her welcome speech discussed the necessity of internet access in Georgian schools. She highlighted the main challenges in this direction and noted that the Ministry of Education, Science, Culture and Sport cooperates with the ministry of Economy and Sustainable Development and private sector representatives in order to have high quality internet access to all schools in Georgia in future. Ms. Abuladze also mentioned threats related to internet access in schoolchildren, such as bullying. Children are easy targets of bullying while using internet spaces. Ms. Deputy minister expresses the readiness of the ministry for any kind of collaborations with interested parties planning to share their views and solutions in this direction.

ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) ევროპული ბიუროს დირექტორმა **ფრედერიკ დონკმა** მადლობა გადაუხადა ფორუმის მხარდამჭერ ორგანიზაციებს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ფორუმში აქტიური მონაწილეობისთვის. მან აღნიშნა, რომ ინტერნეტმმართველობის მიმართულებით საქართველომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში დიდი პროგრესი აჩვენა. ფრედერიკ დონკმა დაახახელა რამდენიმე ღონისძიება, ორგანიზაცია და ქსელი, რომლებიც დაინტერესებულ მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდნენ საქართველოში. ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) მისიაა ორგანიზება გაუწიოს და შეინარჩუნოს ინტერნეტი, როგორც ღია, ხელმისაწვდომი, საიმედო და დაცული პლატფორმა ყველასათვის. საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირის (ITU) ანგარიშის მიხედვით ინტერნეტთან წვდომა საქართველოში 60%-ია. გლობალური უსაფრთხოების ანგარიშის მიხედვით კი საქართველო დასახელებულია იმ 10 ქვეყანას შორის, რომელთაც აქვთ ყველაზე დაცული ინტერნეტ ქსელი.

Mr. Frederic Donck, Regional Bureau Director for Europe, Internet Society (ISOC) thanked the support organizations of GeoIGF, Ministry of Economics and Sustainable Development and National Communications Commission of Georgia for their active participation in the forum. Mr. Donck noted that Georgia and Georgian community has succeeded in terms of internet governance during the last 2-3 years. He mentioned various events and organizations and networks which were formed on the basis of close cooperation between the stakeholders. Mission of Internet Society is to organize and keep the internet as an open accessible, trustworthy and secure platform for everybody. ITU has recently quoted Georgia as having 60% access to the internet. In the Global Security Report ITU has announced Georgia among the ten countries with most secure internet network.



Opening and welcome speeches

ფორუმის გახსნა – მისასალმებელი სიტყვები

გაეროს ინტერნეტმმართველობის ფორუმის მხარდამჭერი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარკუს კუმერმა თავის ვიდეომიმართვაში მოკლედ ისაუბრა IGFSA-ის და მისი მიზნების შესახებ. IGFSA 2014 წელს შვეიცარიაში დარეგისტრირდა როგორც არამომგებიანი ასოციაცია. ასოციაცია აღიარებულია გაეროს მიერ, როგორც მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი IGF -ის ნდობის ფონდისთვის. გარდა ამისა, ბატონა კუმერმა ისაუბრა MRI-ების მნიშვნელობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და დაინტერესებულ მხარეთა დიალოგზე უკეთესი ინტერნეტისთვის.

Mr. Markus Kummer, Internet Governance Forum Support Association (IGFSA), Chairman in his video welcoming presented the background information about the IGFSA, which was set up in 2014 as a not for profit association in Switzerland. IGFSA has been recognized by UN as a contributor to the IGF trust fund. Mr. Kummer noted the importance of MRIs in decision making processes and multi-stakeholder policy dialog for better internet.



საქართველოს კომინიკაციების ეროვნული კომისიის წევრმა, მერაბ ქათამაძემ მისასალმებელ სიტყვაში მადლობა გადაუხადა ფორუმის ორგანიზატორებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო კონსტიტუციაში შეტანილი შესწორება, რომელიც ინტერნეტის თავისუფლებასთან დაკავშირებულ უფლებას ეხება და რომლის მიხედვითაც 16 დეკემბრიდან საქართველოს ყველა მოქალაქეს ენიჭება ინტერნეტთან წვდომის და მისი გამოყენების კონსტიტუციური უფლება. მერაბ ქათამაძემ დამსწრე საზოგადოებას ასევე გააცნო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული ახალი რეგულაციები. პირველი მათგანი გულისხმობს ხარისხის კონტროლის ახალი სისტემის დანერგვას, რაც მომხმარებელს აძლევს ხარისხის კონტროლის საშუალებას სფეროში აპლიკაციის გამოყენებით. მეორე რეგულაცია ინტერნეტის საბითუმო ბაზარზე ბარიერების მოხსნას ემსახურება მიზნად, ხოლო მესამე რეგულაცია მობილური კომუნიკაციების ბაზარზე საკომუნიკაციო ტარიფების შემცირებას გულისხმობს. ახალი რეგულაციები მიმართულია საკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენციის შენარჩუნებისა და მხარდაჭერისკენ.

Mr. Merab Katamadze, Commissioner at Georgian National Communications Commission, in his welcoming speech expressed his appreciation and gratitude to both, host party and to guests. Mr. Katamadze introduced the amendment in Georgian constitution that addresses the right of internet freedom and starting from December 16, it gives every Georgian citizen a constitutional right to use internet and to have access to internet. Furthermore, he reported novelties formed by Georgian National Communication Commission. The first novelty refers to the quality control system that enables every user to control the quality by special application. The second very important decision sets the new regulation in the wholesale market, which takes out all the barriers of competition. The third regulation introduced by GNCC addresses the mobile communication market and enforce the decrease in communication tariffs in the wholesale market. These new regulations will retain and will support competition in the communication market.

Opening and welcome speeches

ფორუმის გახსნა – მისასალმებელი სიტყვები

RIPE NCC-ის კომუნიკაციების მენეჯერმა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ვაჰან ჰოვსეპიანმა, აღნიშნა, რომ ინტერნეტ-საზოგადოება საქართველოში ვითარდება. ბატონმა ჰოვსეპიანმა ხაზი გაუსვა RIPE NCC -ის საქართველოსთან წარმატებული თანამშრომლობის ისტორიას და დაასახელა 2017 წელს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან და სამოქმედო გეგმა, რომელიც 2018 წელს შესასრულებელ აქტივობებს მოიცავდა. ეს თანამშრომლობა წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ჩატარდა უამრავი ტრენინგი და მომზადდა ოთხი ინიციატივა ეკონომიკური ჩართულობისთვის საქართველოს უნივერსიტეტებთან ერთად. ვაჰან ჰოვსეპიანმა დამსწრე საზოგადოებას 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მაგალითისათვის, 2019 წლის ივნისში საქართველოში ჩატარდება ევრაზიულ საქსელო ოპერატორთა ფორუმი. ვაჰან ჰოვსეპიანმა ასევე დაანონსა RIPE NCC -ის სამომავლო გეგმები. მომავალი წლებისთვის აკადემიურ ინსტიტუტებთან ერთად იგეგმება სხვადასხვა აქტივობების ჩატარება (ჰაკათონები, ტრენინგები). მან გამოთქვა მზაობა ყველა ინიციატივების მიღებისთვის და აღნიშნა, რომ RIPE NCC მზადაა მხარი დაუჭიროს ყველა იმ წამოწყებას, რომელიც განსაზღვრულ წვლილს შეიტანს ინტერნეტის განვითარებაში.

Mr. Vahan Hovsepien, Relations Officer, Central Asia and Caucasus, RIPE NCC, noticed that internet community of Georgia is in the development and in the move. Internet community of Georgia is a part of RIPE community as well. Mr. Hovsepien pointed out that RIPE NCC has a really good cooperation history with Georgia and they have signed a memorandum of understanding with GNCC in 2017 and action plan also have been signed. Action plan consists of activities to be delivered in Georgia during 2018. He believes that this kind of cooperation was really successful, because RIPE NCC delivered a lot of trainings and prepared four economic engagement initiatives with Georgian universities. Mr. Hovsepien announced the planned events related to internet governance in Europe and in the region. For example, In June 2019 Georgia is hosting Eurasia Network Operators' Group (ENOG). Mr. Hovsepien highlighted that they are going to develop activities (hackathons, trainings) etc. , with academic institutions for the next years. Besides, he expressed the readiness for all initiatives, and noted that RIPE NCC will support all initiatives that will contribute in the development of the internet.



ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, კრისტიან ურსემ აღნიშნა, რომ საქართველომ ბოლო პერიოდში ბევრი რამ გააკეთა ინტერნეტმმართველობის მიმართულებით და ეს ყველა მონაწილე ინსტიტუტის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ამ მიღწევების აღიარებაა ის, რომ EuroDIG-ის კონფერენცია 2018 წელს საქართველოში ჩატარდა. ეს მიაწინებს, რომ ქართველი პარტნიორები სწორ გზაზე დგანან. კრისტიან ურსემ დარწმუნებით აღნიშნა, რომ GeoIGF-ის დისკუსიები დაძლევს ინტერნეტმმართველობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს. ევროპის საბჭო ჩართულია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება ონლაინ სიძულვილის ენას.

Mr. Cristian Urse, Head of the Council of Europe Office in Georgia, noted that Georgia has done a lot in these years and this is a result of strong commitment from all the participating institutions. The recognition of these achievements is that EuroDIG was held in Georgia in last year. It shows that Georgian partners are on the right path when it comes to internet governance. Mr. Urse pointed out that he believes the GeoIGF discussions will tackle the challenges related to internet governance. Council of Europe is currently engaged in an effort to combat discrimination, specifically online hate speech.

First Session: Access to the Internet and Broadband Gap –Connectivity Developments and Future of Community Networks in Georgia

პირველი სესია: ინტერნეტთან წვდომა და ფართოზოლოვანი „დაშორება“ – სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები

პირველი სესიის მოდერატორმა, ინტერნეტ საზოგადოების (ISOC) ევროპული ბიუროს დირექტორმა, **ფრედერიკ დონკმა** დისკუსია სათემო ქსელების საკითხით დაიწყო. მან გამოკვეთა ის უნარები, რომლებიც აუცილებელია ინტერნეტის სწორი გამოყენებისთვის და დაასახელა თუშეთის სათემო ქსელი, როგორც წარმატებული მაგალითი. ფრედერიკ დონკმა აღნიშნა, რომ ინტერნეტთან წვდომის მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავებულია ქალაქისა და სოფლის შემთხვევებში და გახსნა დისკუსია ამ პრობლემის აღმფხვრის შემოთავაზებულ მეთოდებსა და პოლიტიკაზე.

Moderator of the first session, **Mr. Frederic Donck**, Regional Bureau Director for Europe, Internet Society (ISOC) opened the discussion about community networks. He stressed out the importance of skills how to use internet and named the Tusheti community networks as a successful project. Mr. Donck noted that there is a huge gap between rural and urban areas in terms of internet access and asked questions to panelists how to solve this issue.

ეკა ყუბუსიძემ (კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) მომობილა მიმდინარე პროცესები საქართველოში ფართოზოლოვანი განვითარების მიმართულებით. მან განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მხარს უჭერს სათემო ქსელების განვითარების იდეას. გასულ წელს მხარდამჭერ ორგანიზაციებთან ერთად თუშეთის 24 სოფელში ინტერნეტი გახდა ხელმისაწვდომი. ეკა ყუბუსიძემ აღნიშნა, რომ ინტერნეტ საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით სამინისტრო მუშაობს ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყარის სათემო ქსელის პროექტზე. ამ რეგიონებში მომდევნო წლებში ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება.

Ms. Eka Kubusidze, Head of Communications, Information and Modern Technologies Department, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, overviewed ongoing processes in Georgia in terms of broadband development. She announced that Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia supports the idea of community networks and last year with support of many organizations internet became accessible in 24 villages of Tusheti region. Ms. Kubusidze pointed out that close cooperation with ISOC, Ministry launched the second community network project in Pshav-Kevsureti and Gudamakari and we will have internet in this region in the next years.



First Session: Access to the Internet and Broadband Gap –Connectivity Developments and Future of Community Networks in Georgia

პირველი სესია: ინტერნეტთან წვდომა და ფართოზოლოვანი „დაშორება“ – სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები

მთის მოსახლეობის ინტერესების ადვოკატირების პროექტის დირექტორმა, mtisambebi.ge-ის დამფუძნებელმა და “მთის სათემო ქსელის” თანადამფუძნებელმა, გელა მთივლიშვილმა, მოამზადა და წარმოადგინა ვიდეო ფშავ-ხევსურეთში მცხოვრები ხალხის შესახებ. ვიდეოში რესპოდენტები საუბრობდნენ კომუნიკაციასთან და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გელა მთივლიშვილმა მადლობა გადაუხადა მხარდამჭერ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულები არიან ფშავ-ხევსურეთის ინტერნეტიზაციის პროცესში. მან დაასახელა ინტერნეტი, როგორც უმნიშვნელოვანესი იარაღი ბევრი პრობლემის გადასაჭრელად ამ რეგიონში.

Mr. Gela Mtivlishvili, Advocacy of population living in mountainous areas, Project Director, Founder media outlet - mtisambebi.ge and Co-founder of the NGO “Mountain Community Network” prepared and presented video story about the people from Pshav-Khevsureti. Respondents were talking about the main problems related to communication and infrastructure. Mr. Mtivlishvili expressed his gratitude toward supporting organizations who engaged the internetization of this area. He named internet as an important tool to solve many problems in these mountainous regions.



ISOC-ის დამოუკიდებელმა კონსულტანტმა თუშეთის სათემო ქსელის სოციო-ეკონომიკური ანალიზისთვის, ნინო ნანიტაშვილმა შეაჯამა ერთი წელი თუშეთში ინტერნეტ სერვისის ამოქმედებიდან. 2017 წლის აგვისტოში დამოუკიდებელი უკაბელო ინტერნეტ სერვისი შეიქმნა თემის წევრების, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაციის, ISOC საქართველოსა და სხვა ადგილობრივი მხარეების, და ასევე ISOC-ის ფინანსური მხარდაჭერით. ერთი წლის შემდეგ ინტერნეტ სერვისი აგრძელებს მუშაობას, რომელმაც უკვე მოიტანა სარგებელი როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ისე ვიზიტორებისათვის, განსაკუთრებით ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში. ISOC-მა მოამზადა სრული ანგარიში, სადაც წარმოდგენილია თუ როგორ უწყობს ხელს შორეულ სოფლებში ინტერნეტთან წვდომა რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. ანგარიშის ნახვა შესაძლებელია [აქ](#).

Ms. Nino Nanitashvili Independent Consultant for ISOC's socio-economic impact assessment for Tusheti Community Networks summarized a year after internet service operation in Tusheti. An independent wireless Internet service was set up in August 2017 with in-kind support from members of the community, the Georgian Telecom Operators Association, the ISOC Georgia Chapter and other local stakeholders as well as financial support from Internet Society (ISOC). A year later, the Internet service continues to operate and has already provided a variety of benefits to Tusheti's residents and visitors, particularly in the hospitality sector. The complete ISOC report on how access to the Internet in remote and rural areas such as Tusheti can help to foster social and economic development can be found [here](#).

First Session: Access to the Internet and Broadband Gap –Connectivity Developments and Future of Community Networks in Georgia

პირველი სესია: ინტერნეტთან წვდომა და ფართოზოლოვანი „დაშორება“ – სახელმწიფო და კერძო სექტორის ძირითადი სიახლეები და სათემო ქსელის პერსპექტივები

Charte.ge -ის თანადამფუძნებელმა გიორგი ჯიბლაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია პროექტ „ჩართეს“ შესახებ, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას სოციალურად დაუცველი უფროსკლასელებისთვის ინტერნეტთან წვდომის უზრუნველსაყოფად. 78 000 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს არ აქვს წვდომა ინტერნეტთან, რის გამოც ვერ ახერხებს სხვა ბავშვების მსგავსად სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვას. პლატფორმის საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ დაუფინანსონ ასეთ ბავშვებს ინტერნეტის სააბონენტო. „ჩართეს“ აქტივობები ასევე მოიცავს ტრენინგებს, თუ როგორ გამოიყენონ ინტერნეტი განათლებისთვის. პროექტის მიმდინარე შედეგები ასეთია: ჩართულია 224 მოსწავლე, მხარდამჭერთა რაოდენობაა 414, ხოლო საერთო ჯამში დაფინანსდა 65 399 ლარით.

Mr. George Jibladze, Co-founder & CEO of GiveInternet.org (Charte.ge) delivered a presentation about the project “Charte.ge”, which represent the platform for providing internet access to socially vulnerable schoolchildren. 78 000 socially vulnerable pupils do not have access to the internet, that is why they can’t fully involve in the learning process like other children. The platform gives citizens an opportunity to finance subscription fees for these children. Other activities within the project is to deliver trainings about how to use internet for educational purposes. Current results of the project looks like this: 224 schoolchildren are involved, total number of supporters is 414 and they generated total 65 399 Lari to finance the internet access.



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წამყვანმა სპეციალისტმა ეკა სიჭინავამ მიმოიხილა ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების განვითარების სტატისტიკა. საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტმომსახურების აბონენტების რაოდენობა სტაბილურად მზარდია და 2018 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით 833 ათასს აღწევს. ბოლო წლებში აბონენტების პენეტრაცია შინამეურნეობებში წელიწადში საშუალოდ 6%-ით იზრდებოდა, ამჟამად 71%-ია. ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურება საქართველოს 78 ქალაქში და 936 დაბასა და სოფელშია ხელმისაწვდომი. აღსანიშნავია, რომ აბონენტების დაახლოებით ორი მესამედი საქართველოს 5 დიდ ქალაქშია თავმოყრილი. მაღალმთიანი სტატუსის მქონე ქალაქებსა და სოფლებში ფართოზოლოვანი ინტერნეტმომსახურების ხელმისაწვდომობა მზარდია, მაგრამ კვლავ გამოწვევად რჩება ამ ტერიტორიების ათვისება. აქ აბონენტების დიდი ნაწილი უკაბელო, ფიქსირებული Wi-Fi ტექნოლოგიით სარგებლობს. ფართოზოლოვანი ინტერნეტი ხელმისაწვდომია აღნიშნული სტატუსის ქალაქებისა და სოფლების 18%-ში, სულ 315 დასახლებაში.

Ms. Eka Sichinava, Department of Market Analysis and Strategic Development, GNCC, reviewed broadband internet-service development statistics. Number of fixed internet service subscribers is steadily increasing in Georgia and it reaches to 833 thousand in the third quarter of 2018. Average growth rate of household penetration was 6% during last years and now it is 71%. Fixed broadband internet service is accessible in 78 towns and 936 villages in Georgia. It should be noted that, two-third of subscribers are concentrated in 5 big cities of Georgia. As for the cities and villages with high mountain status accessibility of broadband internet services is increasing, however, coverage of these areas is still a big challenge. Majority of subscribers use wireless, fixed Wi-Fi technologies. Broadband internet is accessible in 18% (total 315 settlements) of cities and villages with this status.

Signature of MoU on Community Network Support

ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება სათემო ქსელის მხარდასაჭერად

ინტერნეტ-მმართველობის ფორუმის ფარგლებში, 2018 წლის 11 დეკემბერს VEON საქართველოს, მთის სათემო ქსელს, ISOC-სა და TOA-ს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც მიმართულია თანამშრომლობის გაღრმავებისკენ და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზებისკენ.

On 11 December, 2018, within the framework of the IGF the Memorandum of Understanding on further development of cooperation was signed between VEON Georgia, Mountain Community network, ISOC and TOA



Second Session: Safe internet puzzle

მეორე სესია: უსაფრთხო ინტერნეტის “თავსატეხი”

მოდერატორი: მამუკა ანდღულაძე, “საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს” მედია პროგრამების მენეჯერი. მამუკა ანდღულაძემ წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა და წარმოადგინა სესიაზე განსახილველი საკითხები. მან აღნიშნა, რომ ინტერნეტი და ინტერნეტთან წვდომა უმნიშვნელოვანესი საკითხია საზოგადოების ყველა წევრისთვის. თუმცა, ინტერნეტთან წვდომა ბავშვებისთვის გულისხმობს სპეციფიკურ საფრთხეებს. მამუკა ანდღულაძის აზრით, მნიშვნელოვანია ე.წ. “ოქროს შუალედის” პოვნა პოლიტიკის შემუშავებისას, იმისათვის, რომ გათვალისწინებულ იქნას ყველა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები.

Moderator: Mr. Mamuka Andghuladze, Media Program Manager, “Transparency International – Georgia” made an introductory speech about main discussion topics. He pointed out that internet and access to internet is an important topic for every part of the society. However access to internet for children is accompanied by specific threats. Mr. Andghuladze stressed that it is important to choose the “golden mean” in order to take into account interests of all stakeholders.



Second Session: Safe internet puzzle

მეორე სესია: უსაფრთხო ინტერნეტის “თავსატეხი”



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენელმა, **სოფიო თვალავაძემ** აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა თაობისთვის, ინტერნეტ უსაფრთხოება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. ამ გამოწვევის საპასუხოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირთან (ITU) ეროვნული ონლაინ უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავებაზე. ინტერნეტ უსაფრთხოების მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესასწავლად, 2018 წლის ოქტომბერში, საქართველოში ჩამოვიდნენ ITU-ს ექსპერტები. ისინი შეხვდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორს, საგანმანათლებლო სექტორს, სკოლებს და მოსაწავლეებს. ამასთან დაკავშირებით მათ მოამზადეს ანგარიში, რომელსაც უახლოეს მომავალში წარუდგენენ დაინტერესებულს მხარებს და სწორედ ამ ანგარიშზე დაყრდნობით შემუშავდება ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია.

Ms. Sophio Tvalavadze, Department of Telecommunications, IT and Innovations, Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia, emphasized that internet safety is one of the most important challenge faced by modern society, especially by children. To overcome this challenge the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia in collaboration with the International Telecommunications Union (ITU) is developing national online safety strategy. In October 2018, ITU experts visited Georgia and met different stakeholders including governmental and non governmental sectors and schools to investigate the internet safety issues in the country. As a result, they have prepared a report, which will be published soon and the national safety strategy development will be based on this report.

დიდი ბრიტანეთის უსაფრთხო ინტერნეტის ცენტრის დირექტორი **დევიდ რაითი** ონლაინ ჩაერთო ფორუმის სესიაში. მან შეაჯამა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება ბავშვთა ინტერნეტ უსაფრთხოების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ITU-მ შეაფასა ქვეყანაში ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარებული ღონიძირებები და მთავრობას წარუდგინა რეკომენდაციები და სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობა.

Mr. Davit Wright, Director of UK Safer Internet Centre, was participated remotely in the forum session. He provided an overview summary of the conclusions from the support provided by the ITU for Georgia regarding child online protection. The project involved an assessment of online child protection provision within the country, together with future recommendations and activity.



Second Session: Safe internet puzzle

მეორე სესია: უსაფრთხო ინტერნეტის “თავსატეხი”

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსმა მარიამ სულაბერიძემ წარმოადგინა კომისიის ხედვა, რომელიც ბავშვთა ნეგატიური ზეგავლენისაგან დაცვას ისახავს მიზნად. როგორც მან აღნიშნა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში შეიქმნა საგანმანათლებლო დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ფუნქცია იქნება ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც ახალგაზრდებს შორის, ცოდნისა და ცნობიერების გაზრდას შეუწყობს ხელს. მარიამ სულაბერიძემ ასევე აღნიშნა, რომ კომისიის მიერ განხორციელებული პროექტების საფუძველი სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში დაგროვებული გამოცდილება იქნება.

Ms. Mariam Sulaberidze, Head of International relations and Project Management Department, GNCC, Presented the vision of the GNCC to prevent the juveniles from the negative influence. For this purpose they have created a department of the media literacy and the function of this department is to elaborate different projects that will be aimed to education, increase of awareness and literacy among juveniles. Ms. Sulaberidze also mentioned that every project developed by the GNCC will be based on the positive experience that already exists in different European countries.



ევროპის საბჭოს ექსპერტმა, მარია ანდრეევამ, ისაუბრა კიბერ ბულინგზე, იმ ნეგატიურ გავლენაზე, რაც სიძულვილის ენას აქვს ახალგაზრდებზე, ასევე ისაუბრა მცირეწლოვნებში ცნობიერების გაზრდის მნიშვნელობაზე და განიხილა რამდენიმე წარმატებული პროექტი, რომელიც სიძულვილის ენის დასამარცხებლად განხორციელდა. მარია ანდრეევას აზრით, როგორც ფორმალური ისე არაფორმალური საგანმანათლებლო აქტივობები, ასევე, ალტერნატიული ნარატივების, კამპანიების წარმოება არის საუკეთესო ინსტრუმენტი სიძულვილის ენასთან საბრძოლველად.

Ms. Marija Andreeva, Council of Europe Expert, discussed the cyber bullying and the influence that hate speech has on young people, emphasizes the importance of increasing awareness among young people regarding cyber bullying and hate speech and shared some of the good practices that have been implementing regarding to combat hate speech. Based on the examples provided in her speech Ms. Andreeva considers that educational activities, both formal and non-formal, and creating alternative narratives and campaigns are the best way to directly target and to tackle hate speech.

Second Session: Safe internet puzzle

მეორე სესია: უსაფრთხო ინტერნეტის “თავსატეხი”



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენელმა **ალექსანდრე ასათიანმა** ისაუბრა თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის ცოდნისა და ინფორმაციის სწორად გადაცემისთვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში უფროსებთან შედარებით ბავშვები გაცილებით უფრო სწრაფები არიან, მათ არ იციან რისი გაკეთების უფლება აქვთ ან რისი გაკეთების უფლება არ აქვთ და ამ ახალ ტექნოლოგიებსაც მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის იყენებენ. შესაბამისად, მშობლებისა და მასწავლებლებისთვის სულ უფრო და უფრო რთული ხდება ბავშვების ქმედებების კონტროლი. ალექსანდრე ასათიანი ფიქრობს, რომ განათლება ამ პრობლემასთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია და ასევე თვლის, რომ აუცილებელია ზრდასრულებს შორის გაიმართოს დიალოგი.

Mr. Aleksandre Asatiani, Preschool and General Education Development Department, Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia discussed the importance of elaborating the strategy how to provide information and knowledge to children. Due to the fact that children are faster in adapting new technologies while parents and teachers fail to keep up with these changes, children do not know what they are allowed to do and what they are not and they tailor new technologies for their own benefit. Thus, it is getting harder for adults to control their actions. Mr. Asatiani believes that it is important for parent and teachers to conduct a joint dialog and he considers education to be a pivotal point to deal with this issue.

თეონა ტურაშვილი, ელ-მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. IDFI-იმ მოამზადა რამდენიმე გზამკვლევი, რომელიც ვიზუალურად გამდიდრებული მასალით უხსნის მკითხველს როგორ გამოიყენოს სოციალური ქსელები, ელ-ფოსტა უსაფრთხოდ. თეონა ტურაშვილის აზრით, „ბავშვთა კოდექსის“ კანონის პროექტის პრობლემურობა მდგომარეობს იმაში, რომ ბუნდოვანია რა იგულისხმება ტერმინში „ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია“. IDFI-ის პოზიციაა: ინტერნეტ კონტენტი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა რეგულირდებოდეს, თუ ინტერნეტის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. საჭიროა განათლებაზე აქცენტი და ამ მიმართულებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობა.

Teona Turashvili, Head of e-Governance Direction, Institute for Development Freedom of Information. IDFI prepared several visual guidelines how to use social networks, e-mail safely. Teona Turashvili considers that the main challenge of the legislation “Children’s Code” is that the term “Hazardous information for children” is vague. IDFI’s position: internet content should be regulated if the information spread via internet contains signs of criminal offence. Emphasizing the importance of education and collaboration of different stakeholders is vital.



Stakeholder engagement opportunities დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესაძლებლობები

მოდერატორი: ნატალია საგინაშვილი, TOA. Moderator: Natalia Saginashvili, TOA

ICANN-ის წარმომადგენელმა სირანუშ ვარდანიანმა აუდიტორიას გააცნო ორი ძირითადი პროგრამა, რომელიც მიმართულია ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებისკენ. ეს არის NextGen სასტიპენდიო პროგრამა, 18-დან 30 წლამდე მაგისტრატურის ან დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, და შესაძლებლობების განვითარების გლობალური პროგრამა, 21 წელს გადაცილებული ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მუშაობენ ინტერნეტ მმართველობის საკითხებზე. მან ასევე ისაუბრა აღნიშნული პროგრამების მონაწილეთა შერჩევის და პროგრამების დანერგვის პროცესებზე და ICANN-ის მიერ შემუშავებულ უახლეს მიდგომებზე.

Siranush Vardanyan from ICANN introduced two main programs to encourage youth participation. fellowship next gen program, which is mainly for graduate and PhD students from 18 to 30 and a global capacity development program for individuals over the age of 21 without any upper threshold, who are engaged in internet governance issues or represent public or private sector and somehow deals with internet governance. Furthermore, she discussed selection and implementation processes of these programs and new approaches recently introduced by ICANN.



SeeDIG-ის წარმომადგენელმა, ლიანა გალსტიანმა აუდიტორიას გააცნო ორგანიზაცია, რომელსაც წარმოადგენს და ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ ყოველწლიური აქტივობები. ამ აქტივობებს შორისაა ყოველწლიური შეხვედრები, რომლებიც მიმართულია ციფრული პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებულ მხარეთა ერთმანეთთან დასაკავშირებლად და შესაძლებლობების განვითარების პროგრამები, როგორცაა სასტიპენდიო პროგრამა მათთვის, ვისაც აქვს გარკვეული გამოცდილება ინტერნეტ მმართველობის მიმართულებით და სასწავლო პროგრამა გამოცდილების არმქონე ახალგაზრდებისთვის. ყოველწლიური აქტივობების გარდა მან ასევე მიმოიხილა შიდასასესიო აქტივობები და მათ პროგრამებში შეტანილი უახლესი ცვლილებები.

Lianna Galstyan from SeeDIG, introduces her organization the audience, which is a city community represented by the executive board with members from different countries. She discussed annual activities provided by the organization. these activities include annual meeting in different countries in order to foster the dialog and cooperation between the stakeholder on digital policy issues, capacity development programs such as fellowship program, for those people who are already engaged in their communities and youth school program, for those young individuals who does not know much about internet governance. Apart from annual activities she also discussed their intercessional activities and recent changes in their programs.



Stakeholder engagement opportunities

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესაძლებლობები



სანდრო ქარუმიძემ (ISOC საქართველო) დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინტერნეტ საზოგადოების ადგილობრივი ფილიალი. ISOC საქართველო არის არარეგისტრირებული ფორმალური ჯგუფი, რომელშიც 40-ზე მეტი კერძო პირი და მოხალისე არის გაერთიანებული, რომლებიც გარკვეულ ნაბიჯებს დგამენ საქართველოში ინტერნეტის განვითარებისთვის. სანდრო ქარუმიძემ აღნიშნა, რომ ინტერნეტ საზოგადოების წევრები გაერთიანებული არიან ერთი იდეის ქვეშ, რომ ინტერნეტი უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი ყველასთვის გარკვეული გამონაკლისების ჩათვლით.

Sandro Karumidze, ISOC Georgia, presented the local branch of Internet Society in Georgia to the audience. ISOC Georgia is non-registered formal group with more than 40 individuals volunteers who try to take some steps for internet development in Georgia. Mr. Karumidze noted that the Internet Society members are united under one idea, that internet should be open and accessible to everyone with certain exceptions.



EuroDIG-ის გენერალურმა მდივანმა, სანდრა ჰოფერიხტერმა ონლაინ გამოსვლაში მიულოცა ორგანიზატორებს მეოთხე ინტერნეტმმართველობის ფორუმის ჩატარება და აღნიშნა, რომ GeoIGF-ს აქვს უკვე ტრადიცია. გარდა ამისა, სანდრა ჰოფერიხტერმა გაიხსენა ზაფხულში ჩატარებული EuroDIG, როგორც ღონისძიება სავსე ცოცხალი დისკუსიებითა და საინტერესო თემებით. მან ფორუმის მონაწილეებს მოუწოდა ეროვნულ დონეზე ამგვარი დებატების ტრადიციის გაგრძელებისკენ. მან ასევე წარმოადგინა განაცხადის მიღების შესაძლებლობები 2019 წლის EuroDIG ღონისძიებისთვის და მნიშვნელოვანი თარიღები. სანდრა ჰოფერიხტერმა გამოთქვა სურვილი იხილოს GeoIGF-ის მონაწილეები EuroDIG 2019-ზე.

Sandra Hoferichter, Secretary General, EuroDIG in her online speech congratulated to fourth GeoIGF and noted that forum has already established a tradition. In addition, Ms. Hoferichter recalled EuroDIG conducted in Summer as it was full of vibrant discussions and covered many interesting topics. She encouraged IGF participants to continue such kind of debates on a national level. She introduced EuroDIG call for proposal opportunities and important dates and expressed desire to see many of the GeoIGF members to participate in EuroDIG 2019.

Stakeholder engagement opportunities

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესაძლებლობები



Stakeholder engagement opportunities

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესაძლებლობები

RIPE NCC-ის კომუნიკაციების მენეჯერმა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ვაჰან ჰოვსეპიანმა წარმოადგინა პრეზენტაცია RIPE NCC -ისა და მისი პროგრამების, ტრენინგებისა და ვებინარების შესახებ. აგრეთვე, მან განიხილა სხვადასხვა სტიპენდიები და გამოაცხადა დაგეგმილი ღონისძიებების მნიშვნელოვანი თარიღები. გამოსვლის ბოლოს ვაჰან ჰოვსეპიანმა ისაუბრა RIPE სტიპენდიაზე, რომელიც ხელმისაწვდომია RIPE საზოგადოების ყველა წევრისთვის.

Vahan Hovsepyan from RIPE NCC made a presentation about RIPE NCC and its online learning applications, training, webinars. Also he discussed several scholarship/fellowship opportunities and announced upcoming events and their deadlines for submissions. At the end of the speech, Mr. Hovsepyan talked about the RIPE fellowship which is available for all RIPE community.

RIPE NCC-ის კვლევებისა და განვითარების წარმომადგენელმა, **კრისტიან ტუშელმა** აღნიშნა, რომ IGF ეს ადამინათა თანამშრომლობაა იმისათვის, რომ მოხდეს ინტერნეტის სასარგებლოდ გამოყენება. მან ისაუბრა მონაცემებზე ორიენტირებულ პერსპექტივების მნიშვნელობაზე იმისათვის, რომ დავინახოთ სრულდება თუ არა IGF-ის შეთანხმება სათანადოდ. RIPE NCC უზრუნველყოფს ინტერნეტთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომლებიც სამ ჯგუფში ერთიანდება: რეგისტრის მონაცემები, რუტინგის მონაცემები და აქტიური გაზომვლის მონაცემები. გამოსვლის ბოლოს კრისტიან ტუშელმა მოუწოდა აუდიტორიას რომ გააკეთონ განაცხადი RIPE NCC-ის მიერ შემოტავაზებულ პროგრამებზე.

Christian Teuchel, R&D, RIPE NCC said that IGF is a cooperation of people to make the internet operation in a beneficial way. He talked about importance of data driven perspectives in order to see that IGF agreement is really followed. RIPE NCC provides certain datasets relating with the internet. There are three different types of data: registry data, routing data and active measurement data. At the end of the speech Mr. Teuchel encouraged the audience to apply for programs offered by RIPE NCC .



Parallel Session 3. 1.: .GE ccTLD and .გე IDN ccTLD – latest developments and challenges პარალელური სესია 3.1.: .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .გე ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები – განვითარების ტენდენციები და გამოწვევები

მოდერატორი: მზია გოგილაშვილი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური.
Moderator: Ms. Mzia Gogilashvili, Chief Expert on International Relations, International Relations and Project Management Office, Georgian National Communications Commission



Parallel Session 3. 1.: .GE ccTLD and .გე IDN ccTLD – latest developments and challenges პარალელური სესია 3.1.: .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .გე ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები – განვითარების ტენდენციები და გამოწვევები

აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში დაინტერესებულ მხარეთა გლობალური ჩართულობის დირექტორმა (ICANN) ალექსანდრა კულიკოვამ ონლაინ ჩართვისას გააკეთა პრეზენტაცია უნივერსალური მიღების საფუძვლებზე. გლობალური ინტერნეტის ზრდასთან ერთად, რომელიც მოიცავს ახალ სკრიპტებს და ინტერნაციონალიზებულ დომენურ სახელებს (მაგ. ქართული IDN ccTLD .გე). მომხმარებლებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქვთ წვდომა უფრო და უფრო მეტ ონლაინ კონტენტთან და სერვისთან მათ მშობლიურ ენაზე. ამ ონლაინ სივრცის განვითარების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სხვადასხვა პლატფორმების მზაობაზე ტექნოლოგიების მიმართ. ICANN მოუწოდებს სხვა პარტნიორებს, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერებს, დეველოპერებს და სხვა ტექნიკურ ექსპერტებს და გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს გადადგან ნაბიჯები არსებული ტექნიკური გადაწყვეტილებების მომხმარებელთა წინაშე არსებულ სისტემებში ჩართვისთვის.

Ms. Alexandra Kulikova, Head of Global Stakeholder Engagement Eastern Europe and Central Asia, Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN) made a presentation about Universal Acceptance basics. As the global internet expands and includes new scripts and internationalized domain names (for example, Georgian IDN ccTLD .გე) users across the world can get access to more online content and services in the languages they speak. The success of this online space development depends a lot on the readiness of various platforms to embrace technologies beyond it. Universal acceptance means that your usage of mail and other everyday applications is seamless regardless of the script as they rely on software updated to allow for the best IDN functionality. ICANN is joining other partners calling on ISPs, developers, CIOs and other technical experts and decision makers to take steps to embed existing technical solutions into user-facing systems.



.GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის „საკონსულტაციო საბჭოს“ კოორდინატორმა ISOC საქართველოდან, **სანდრო ქარუმიდემ** ისაუბრა GE დომენის ადმინისტრატორის საკონსულტაციო საბჭოს შექმნის მიზეზებსა და მიზნებზე, საბჭოს ფუნქციებსა და სტრუქტურაზე. საკონსულტაციო საბჭო არის GE დომენის ადმინისტრატორ "კაუკასუს ონლაინსა" და Internet Society-ს ქართული წარმომადგენლობას (ISOC-Georgia chapter) შორის მოლაპარაკების საფუძვლზე შექმნილი საბჭო რომლის მთავარი მიზანია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების ჩართულობის საფუძველზე შეიმუშავოს და მიაწოდოს ადმინისტრატორს მის საქმიანობასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. სანდრო ქარუმიდემ პრეზენტაციაზე წარმოადგინა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც საკონსულტაციო საბჭომ გაუწია GE დომენის ადმინისტრატორს.

Mr. Sandro Karumidze, .ge ccTLD Advisory Board Coordinator, ISOC Georgia, talked about the reasons of the creation of .GE domain administrator advisory board and its future goals. He also discussed main functions and structure of the board. Advisory Board was formed on the basis of negotiations between “Caucasus Online”(.GE domain administrator) and ISOC –Georgia Chapter. The main goal of the board is to develop and distribute recommendations related to administrator’s operation with active involvement of different stakeholders. Mr. Karumidze mentioned several recommendations for GE domain administrator.

Parallel Session 3. 1.: .GE ccTLD and .გე IDN ccTLD – latest developments and challenges პარალელური სესია 3.1.: .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .გე ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები – განვითარების ტენდენციები და გამოწვევები



ხათუნა შუბითიძე, დომენის ადმინისტრატორისა და რეგისტრატორების მართვის სამსახურის მენეჯერი, შპს „კავკასუს ონლაინი“ (.GE) შპს „კავკასუს ონლაინმა“, როგორც .გე ქვეყნის კოდის ზედა დონის ადმინისტრატორმა განახორციელა მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც .გე ზონაში ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელის ამუშავებს გულისხმობს. 2018 წლის 16 აპრილიდან ძალაში შევიდა .GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის განახლებული წესები, რომლის თანახმად „კავკასუს ონლაინი“ მხოლოდ .გე ზონის ადმინისტრატორია, ხოლო რეგისტრატორის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს ადმინისტრატორის მიერ აკრედიტირებული 12 რეგისტრატორი კომპანია. რეფორმის ფარგლებში გაფორმდა მემორანდუმი დავების მოგვარების ცენტრთან – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (WIPO); .გე დომენური სახელების მართვისა და ადმინისტრირების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიზნით, შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო;

Ms. Khatuna Shubitidze, Domain Administrator and registration management service at “Caucasus Online” (.GE), claimed that, as an upper level administrator of the country domain.ge, “Caucasus Online” implemented an important change regarding starting the administrator-registrator model in the .ge zone. Starting from April 16th 2018, .GE domain registration and administration rules were updated and presented. According to these rules, “Caucasus Online” undertakes the administration part while registration is supported by 12 different registrars. Throughout this reform, Caucasus Online signed a memorandum with the disputes resolution center – World Intellectual Property Organization (WIPO); Furthermore, the advisory board has been formed in order to engage stakeholders in the .ge domain name management and administration process.

თინათინ მონავარდისაშვილი (სერვისების მენეჯერი, ააიპ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრი (.გე)) წარმოადგინა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის ანგარიში – .გე IDN ccTLD. 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით .გე ზონაში რეგისტრირებული ნაციონალური დომენების რიცხვი შეადგენს 1211-ს. მან ასევე ისაუბრა ცენტრის სამომავლო გეგმებზე, კერძოდ ცენტრი ქართულენოვანი დომენების ბაზაზე ელექტრონული ფოსტის სერვისის ააწყო, რომელიც წახალისებს ნაციონალური დომენების გამოყენებას. ამ მიმართულებით ცენტრი აპირებს თანამშრომლობას საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან.

Ms. Tinatin Monavardisashvili, Service Manager, Information Technology Development Center (.გე) presented a report of Information Technology Development Center – გე IDN ccTLD. As of December, 2018, number national domains registered in the .ge zone is 1211. She also talked about future goals of the center, specifically, the center will set up service of E-mail on the basis of Georgian language domains, which will promote the use of national domains. In this direction, the center plans to have close cooperation with Georgian National Communications Commission.



Parallel Session 3. 1.: .GE ccTLD and .გე IDN ccTLD – latest developments and challenges პარალელური სესია 3.1.: .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენისა და .გე ქვეყნის ეროვნული კოდის ზედა დონის დომენის ზონები – განვითარების ტენდენციები და გამოწვევები

კატრინა სატაკი (ქვეყნის კოდის სახელწოდებების მხარდამჭერი ორგანიზაციის საბჭო, ICANN) მადლობა გადაუხადა ფორუმის ორგანიზატორებს სესიაში დისტანციურად ჩართვის შესაძლებლობისთვის. მან ფორუმის მონაწილეებს გაუზიარა ლატვიის გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა საერთაშორისო თანამშრომლობა ccTLD-ს რეგისტრაციის პროცესში. მან აღნიშნა, რომ თუ რაღაც კარგად მუშაობს ერთი ccTLD-სთვის არ ნიშნავს, რომ იგი იმუშავებს სხვებისთვისაც. ყველაფერი დამოკიდებულია ქვეყნის ადგილობრივ მდგომარეობაზე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ccTLD-ებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთი მოდელი ვერ მოერგება ყველას. სწორედ ამიტომ ყველამ უნდა იპოვოს მოგვარების გზა ინდივიდუალურად, თუმცა, სხვების შეცდომებზე სწავლაც ძალიან სასარგებლოა. კატრინა სატაკი მიულოცა ფორუმის ორგანიზატორებს და აღიარა, რომ ისინი ნამდვილად კარგ საქმეს ემსახურებიან. ყველაზე მნიშვნელოვანია, არ შეწყდეს დიალოგი, საუკეთესო გადაწყვეტილებები მჭიდრო თანამშრომლობით და დისკუსიებით მიიღწევა. მან დარწმუნებით აღნიშნა, რომ საქართველოს დახმარების ხელს მთელი მსოფლიოდან გაუწვდიან. კატრინა სატაკი ხაზი გაუსვა იმას, რომ ის დიალოგი, რაც GeoIGF-ს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, უმნიშვნელოვანესია. ასევე, აღნიშნა, რომ თანამშრომლობა, რეგისტრატორ-რეგისტრატის მოდელი ნამდვილად დაეხმარება ადგილობრივ ინტერნეტ საზოგადოებას გაზრდაში.

Katrina Sasaki, Country Code Names Supporting Organization Council, ICANN, expressed her gratitude for remote participation opportunities. She shared Latvia's experience about how International cooperation has helped ccTLDLV in the registry. She noted that if something works well for one ccTLD it does not mean that, it will work for another. Everything depends on country's local situation. When we talk about ccTLDs, one size does not fit to all. That's why everybody has to find their own way, but learning from others is really very helpful. Ms. Sasaki congratulated to forum organizers and admitted that they are doing a great job. The most important is not to stop talking to each other, the best solutions comes from close collaboration and discussions. She stressed with conviction that Georgia can find really helpful hands all around the world. She highlighted that this dialog that GeoIGF has locally and internationally is really great and collaboration, registry registrar model is something that helps local internet community to grow.




Parallel Session 3.2.: Internet Content and Copyright – Georgia and EU

პარალელური სესია 3.2.: ინტერნეტ კონტენტი და საავტორო უფლებები – საქართველო და ევროკავშირი

მოდერატორი: უჩა სეთური, საქართველოს სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაცია, გამგეობის თავმჯდომარე უჩა სეთურმა გახსნა პარალელური სესია ინტერნეტ კონტენტსა და საავტორო უფლებებზე. მან ამ მიმართულებით ჩართულ შუამავლების როლზე წამოჭრა დისკუსია.

Moderator: Mr. Ucha Seturi, Executive Director, Small and Medium Telecom Operators Association of Georgia opened parallel session about Internet Content and Copyrights – Georgia and EU and raised discussion on the role of intermediaries in this direction.



Parallel Session 3.2.: Internet Content and Copyright – Georgia and EU

პარალელური სესია 3.2.: ინტერნეტ კონტენტი და საავტორო უფლებები – საქართველო და ევროკავშირი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია სამართლებრივი დეპარტამენტის წარმომადგენელმა **თამარ ხუხუნაიშვილმა** ისაუბრა მარეგულირებელი კომისიის როლზე საავტორო უფლებებთან მიმართებით, იმ გამოწვევებზე, რომელიც დღეს არსებობს კომისიის წინაშე და იმ ღონისძიებებზე რომელსაც ატარებს კომისია საავტორო უფლებების დაცვის კუთხით. მან ასევე ახსენა ასოცირების შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომლის მიხედვითაც საქართველოს აქვს ნაკისრი ვალდებულება რომ საავტორო უფლებები იქნება დაცული საქართველოში და ამ მიმართულებით ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას აქვს აღებული ვალდებულებები და ეტაპობრივად ხდება ამ ვალდებულებათა შესრულება.

Ms. Tamar Khukhunaishvili, Legal Department, Georgian National Communications Commission, talked about the role of GNCC in terms of copyrights, current challenges which are faced to GNCC and actions of GNCC in copyright protection. She also mentioned Association Agreement between Georgian and EU, which defines obligations that copyrights in Georgia should be protected and GNCC has its own obligations in this process. Ms. Khukhunaishvili noted that fulfillment of these obligations continuous step by step.

შპს „სისტემ ნეტის“ დირექტორის მოადგილე იურიდიული მიმართულებით, **ხათუნა ინჯია** შეეხო ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაციის თავისუფლად მიღების და გავრცელების საკითხს, რომელიც ეხება როგორც ლეგალურ ისე არალეგალურ კონტენტს. ის ფოკუსირდა მხოლოდ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვაზე, ინტერნეტ ტელევიზიებთან და მაუწყებლებთან მიმართებაში. ხათუნა ინჯიამ აღნიშნა, რომ ევროპის ქვეყნებში ინტერნეტში ყოველგვარ აკრძალვას ახორციელებს მხოლოდ სასამართლო მოტივირებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. საქართველოში კი ბოლო 18 წლის განმავლობაში აკრძალვა ამა თუ იმ კონტენტზე წვდომისა მოდის მარეგულირებელი კომისიიდან. რეკომენდაციის სახით ხათუნა ინჯიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია ცვლილებები ელ-კომუნიკაციების კანონსა და მაუწყებლობის კანონში. მისი თქმით, ეს ცვლილებები თავისი შინაარსით უნდა იმეორებდეს და ასახავდეს ასოცირების შეთანხმებაში განცხადებულ პრინციპებს.

Ms. Khatuna Injia, deputy director In Legal issues, Ltd “Systemnet”, discussed issues related to getting and distributing information through the internet, which these issues cover legal and illegal contents. She focused on only copyright and neighboring rights in terms of internet televisions and broadcasters. Ms. Injia noted that in European countries all prohibitions on internet content is imposed by the court based on motivated decision. In Georgia, prohibition on access to some internet content comes from regulatory commission during last 18 years. As a recommendations, she pointed out that changes in the law of electronic communication and the broadcasting law are crucial, as the principles of Association Agreement should be replicated and reflected into these changes

Parallel Session 3.2.: Internet Content and Copyright – Georgia and EU

პარალელური სესია 3.2.: ინტერნეტ კონტენტი და საავტორო უფლებები – საქართველო და ევროკავშირი

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნების და დიზაინის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი კასრაძემ ისაუბრა ე. წ. შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობასა და საავტორო უფლებებზე. საქართველოში, ისევე როგორც, მთელ მსოფლიოში, ინტერნეტი ხდება ზრდადი, ყოვლისმომცველი საშუალება პერსონალურ კომუნიკაციასა და კომერციაში. მის განვითარებასთან ერთად, აუცილებელი ხდება, ე. წ. შუალედური მომსახურების მიმწოდებლების უფლება-მოვალეობის საკითხის განსაზღვრა და მისი საკანონმდებლო წესით მოწესრიგება, რაც ამ ეტაპზე არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ირაკლი კასრაძე თვლის, რომ აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა, უზრუნველყოფს საავტორო უფლებების მფლობელთა, ინტერნეტ ბიზნესში ჩართულ პირთა და მომხმარებელთა უფლებებს შორის ბალანსის დამყარებას.

Mr. Mr. Irakli Kasradze, Head of trademarks, Geographic Indications and Design Department, National Intellectual Property Center of Georgia talked about the responsibilities of intermediate service providers and copyrights. Internet becomes increasing and comprehensive tool for personal communications and commerce around the world. With its development it is crucial to define right and duty of intermediate service providers so called and put them in the frame of law, which is not a case in Georgian legislation at this time. Mr. Kasradze considers, that defining above mentioned issues on legislation level provides the balance between rights of copyright owners, persons involved in internet business and consumers.



მედეა შენგელია, საქართველოს საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაცია, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

Ms. Medea Shengelia, Georgian Copyright Association, head of legal department

Parallel Session 4.1.: Competition and Georgian Internet Market პარალელური სესია 4.1.: ინტერნეტ ბაზარი – კონკურენცია და სხვა ბარიერები

მოდერატორი: რამაზ ქვათაძე, სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი (GRENA)

Moderator: Mr. Ramaz Kvatadze, CEO, The Georgian Research and Educational Networking Association – GRENA



Parallel Session 4.1.: Competition and Georgian Internet Market

პარალელური სესია 4.1.: ინტერნეტ ბაზარი – კონკურენცია და სხვა ბარიერები



ლიეტუვის კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს გენერალური დირექტორის მოადგილემ, “დამმოხილვის” პროექტის ადგილობრივმა მრჩეველმა, გეიდრიუს პურასმა ისაუბრა ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებაზე ლიეტუვაში ბოლო 2 წლის განმავლობაში. მან ასევე განიხილა რეგულატორის მიერ შემუშავებული კანონები და რეგულაციები, წლების განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილებები, 2008 წლიდან მოყოლებული ინდუსტრიის ძირითადი ტექნოლოგიები და სამომავლო რეგულატორის როლი სატელეკომუნიკაციო ინდუსტრიის განვითარებაში. ეიდრიუს პურასი ასევე შეეხო დღეისთვის არსებულ გამოწვევას, რომელიც დაკავშირებულია მობილურ და ფიქსირებულ ინტერნეტთან და მის მიერ წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით განიხილა კავშირგაბმულობის ეს ორი ტიპი ერთმანეთის შემცვლელია თუ შემავსებელი.

Mr. Giedrius Pūras, Deputy Director General at Communications Regulatory Authority of Lithuania, Resident Twinning Advisor for project „Supporting the Georgian National Communication Commission (GNCC) in developing of its electronic communications regulatory framework and operational capacities in line with EU Regulatory Framework” discussed the development of electronic communications in Lithuania for the last 2 decade. He further explained different laws and regulation provided by the regulator, history of dissensions they have made, leading technologies in the industry since 2008 and regulator’s role in the near future. Mr. Puras also addressed challenge regarding mobile broadband and fixed internet and based on the data provided discussed whether mobile internet is a substitute for fixed internet or complement.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, კონკურენციის ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის, დავით გოგიჩაიშვილის სასაუბრო თემა იყო დამოუკიდებელი ბაზრის ლიბერალიზაცია და ინტერნეტ ბაზარი. მან მიმოიხილა დღევანდელი ბაზარი, ბაზრის ძირითადი მოთამაშეები და მათი განვითარების დინამიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ასევე მანდ ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რასაც მცირე ოპერატორები აწყდებიან დღეს ბაზარზე. დავით გოგიჩაიშვილმა ისაუბრა სატელეკომუნიკაციო ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონის არსებობის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ ამ მიზნის მისაღწევად კომისია მხარს უჭერს მცირე ოპერატორებს და ძალისხმევას არ იშურებს მცირე ბიზნესისთვის უკეთესი გარემო შესაქმნელად.

Mr. Davit Gogichaishvili Head of Telecom Market Regulation Department, Georgian National Communications Commission discussion topic was market liberalization for permits and internet market. He described the current situation in the communication market, overviewed the main participant and their evaluation, main acquisitions and merger, for the past few years, and addressed challenges small operators face in the market. He discussed the importance of high level of market concentration, for this purpose commission does everything to facilitate small business and support small operators in the market.



Parallel Session 4.2.: Consumers Internet Readiness

პარალელური სესია 4.2.: მომხმარებელთა ინტერნეტ მზადყოფნა


მოდერატორი: ირაკლი დარიბაშვილი, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ISOC საქართველოს გამგეობის თავმჯდომარე
Moderator: Mr. Irakli Garibashvili, Director, National Scientific Library – Georgia; Chairman of the Board, ISOC - Georgia

მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის პროგრამის კოორდინატორმა, **თორნიკე ჯობავამ** თავის გამოსვლაში ისაუბრა პროექტზე, რომელიც მოიცავს მაღალმთიან რაიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ინტერნეტში უფასო ჩართვას და რეგიონალური მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეების გადამზადებას ელექტრონული კომერცის მიმართულებით.

Mr. Tornike Jobava, World Bank project Georgia National Innovation Ecosystem (GENIE) Project Broadband for Development Program Coordinator at GITA –Georgia’s Innovation and Technology Agency, in his speech overviewed the project which considers free internet opportunities for socially vulnerable people living in high mountainous regions and trainings about E-commerce for Micro, Small and Medium Sized Entrepreneurs.

საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციის პრეზიდენტმა **რუსუდან ასათიანმა** ისაუბრა სოფლის ბიბლიოთეკების ინტერნეტიზაციის პროექტზე, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი და ელექტრონული მმართველობის ტრენინგი 70 ბიბლიოთეკარისთვის. ასევე ჩატარდა კასკადური ტრენინგები საქართველოს 400ზე მეტი ბიბლიოთეკარისთვის საქართველოს რეგიონებში. საპილოტე პროექტში ჩართულია კახეთის რეგიონის 54 სოფელი

President of Georgian Library Association, Rusudan Asatiani talked about internetization project in rural libraries and presented its results. Within the project E-commerce and trainer’s training has been conducted for 70 rural librarians. Besides, project organized cascade training s for 400 librarians from the region of Georgia. Total 54 villages were involved in the pilot project.



Parallel Session 4.2.: Consumers Internet Readiness

პარალელური სესია 4.2.: მომხმარებელთა ინტერნეტ მზადყოფნა

თამთა ტეფნაძემ (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია) აღნიშნა, რომ 2018 წლამდე არ არსებობდა მომხმარებლების მიერ ინტერნეტ მომსახურებაზე გადახდილი საფასურისა და მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობის დადგენის ქმედითი მექანიზმი. ტელეკომუნიკაციების ომბუდსმენის განმარტებით, „ინტერნეტმომსახურების მიწოდების ხარისხის განსაზღვრისა და შემოწმების წესების დამტკიცების თაობაზე“ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2018 წლის 10 მაისს მიღებული დადგენილების შედეგად, ინტერნეტ მომხმარებლებს ეძლევათ ბერკეტი, თავად შეამოწმონ კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებით შეთანხმებული ინტერნეტის ხარისხი, რაც, თავის მხრივ, ინტერნეტ მომხმარებელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ქმნის რეალურ წინაპირობასა და მნიშვნელოვან გარანტიებს.

Ms. Tamta Tepnadze, Consumer Rights Public Defender, Georgian National Communication Commission (GNCC) noted that until 2018 there was no effective mechanism for customers to pay for internet service and to ensure compliance with quality of services. According to the Telecommunications Ombudsman, the "Provision of Internet Service Quality Rules for Determining and Checking the Rules". As a result of May 10, 2018 National Communications Commission's Resolution, Internet users leverage the company's access to the Internet quality in the contract, which, on its side, creates prerequisite to guarantees rights and interests of internet users.



Final remarks

ფორუმის შეჯამება

ფორუმის დასასრულს ირაკლი ღარიბაშვილმა, ფრედერიკ დონკმა და რამაზ კვათაძემ წარმოთქვეს შემაჯამებელი სიტყვები. მათ ერთპიროვნულად აღნიშნეს სესიებზე განხილული თემების მნიშვნელოვნება და მიულოცეს ორგანიზატორებს ფორმულის წარმატებულად ჩატარება, რადგან თითოეულ სესიაში ფიქსირდებოდა დამსწრე საზოგადოების მხრიდან მაღალი ჩართულობა.

At the end of the forum, Irakli Gharibashvili, Frederic Dock and Ramaz Kvatadze made their final remarks. They unanimously highlighted the importance of the topics covered during the sessions and congratulated forum organizers successful completion of the event. As they mentioned, it was a high engagement not only from the panelist but also from the attendees in each sessions.



Awarding volunteers მოხალისეთა დაჯილდოება

შემაჯამებელი გამოსვლების შემდგომ მოხალისეებს გადაეცათ სერტიფიკატები GeoIGF 2018-ში აქტიური მონაწილეობისთვის

At the end of the summarizing remarks, volunteers has been given certificates for active participation in GeoIGF 2018.



მონაწილეების და ჩართულობის ანალიზი და განაწილება დაინტერესებული ჯგუფების, გენდერულ და ასაკობრივ ჯგუფში

Analysis of participants and engagement of stakeholder groups of gender and age


ფორუმში მონაწილეობის რეგისტრაცია გაიარა 194-მა მსურველმა, საიდანაც მონაწილეობა მიიღო ჯამში 127-მა მონაწილემ.

Out of 194 registered, 127 participated in the Forum


დაინტერესებული ჯგუფების ჭრილში ეს მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება
Distribution of stakeholder groups looks like the following

გენდერულ ჭრილში მონაწილეების მონაცემები
Gender distribution of participants


- Academia
- NGO
- Private
- Gov
- Technical
- Media



- Male
- Female



პანელზე წარმოდგენილი გენდერული ბალანსი
Gender balance represented on the panel



ბიუჯეტი Budget

საორგანიზაციო აქტივობები შესაძლოა დავეყოს რამდენიმე ძირითად მიმართულებად, რომლის დაფინანსება მოხდა როგორც დონორების დახმარებით, ასევე ინტერნეტმმართველობის ფორუმის წევრი და ლოკალური მხარდაჭერების მიერ.

ეს აქტივობები შესაძლოა დავეყოს შემდეგ ჯგუფებად:

- ღონისძიების წინა მოსამზადებელი სამუშაოები (წევრების და საბჭოს წევრების შეხვედრები, არჩევნები, პროგრამის დამტკიცება და კონსულტაციები სხვა მხარდამჭერებთან);
- ინტერნეტ გვერდის და სოციალური ქსელების მომზადება და გაშვება, სხვა დაკავშირებული აქტივობები (დომენი, ვებ-გვერდის და სოციალური ქსელის გვერდების შექმნა და ადმინისტრირება);
- ბრენდინგთან დაკავშირებული აქტივობები (ფორუმის და სხვა საბეჭდი მასალების ფერის, ლოგოს შექმნა და ინტეგრირება);
- საორგანიზაციო ფართის მომზადების სამუშაოები (დარბაზი, ეკრანი, პროექტორი და ა.შ.);
- კვება და ვახშამი;
- ბეჭდვითი საქმიანობა (მოსაწვევი, ბეიჯი, დღის წესრიგი, პრეს ბანერები და საიმეჯო ბანერი);
- მედია მხარდაჭერა (ონლაინ ტრანსლირება);
- სოციალური ღონისძიება (ექსკურსია თელავში და გრემში);
- სატრანსპორტო მომსახურება

We can start evaluation of organizational activities by discussing several basic directions, which were founded by various donors, also by the members and local supporters of the IGF.

The activities could be divided into the following groups:

- Pre-event activities (meetings of the members and council members, elections, the approval of the program and consultations with other supporters)
- Preparation and launch of the Internet pages and social networks, other related activities (creating and administration of the domain, the website and the social network);
- Activities related to branding (creating the color of the Forum and printable materials, the design and integration of the logo);
- The organizational space planning (hall, screen, projector and etc.)
- The alimentation and the dinner;
- Printing activity (invitation cards, badge, the agenda, press banners and banners);
- The media support (online broadcasting);
- Social event (excursion to Telavi and Gremi)
- The transport services

ბიუჯეტი Budget

აქტივობები Activity		მხარდაჭერა Supporter	ბიუჯეტი/USD
საკონფერენციო სივრცე/ Conference venue	Modern art museum of Tbilisi Address: 27 Shota Rustaveli Ave, T'bilisi	IGFSA, TOA, MOMA	700
კვებითი მომსახურება/Catering		ISOC, IGFSA	1840
transportation/ ტრანსპორტირება	სამოგზაურო მხარდაჭერა/ Traveling support	ICANN	80
IT მხარდაჭერა/ IT support	ინტერნეტ გვერდის და სოციალური ქსელების მომზადება და ადმინისტრირება/preparation of web and social media pages and manegment	IGFSA, TOA	600
live stream support/ლაივის მხარდაჭერა და ტექნიკური უზრუნველყოფა	live stream Camera, Live stream team, ინტერაქცია, ონლაინ ჩართულობის მხარდაჭერა	ISOC	639
მედია მხარდაჭერა/PR and media Support	ფოტოგრაფი, ვიდეო გადაღება, კომუნიკაციის და პიარ მენეჯერი/ Photographer and Camera operator, video clip, Communications and PR manager	ISOC	435
გახმოვანება, ხმის სისტემები/sound systems supprot	main hall and slide session area	IGFSA, ICANN, IGFSA	1470
თარგმნა/interpretation	in two legnuages in two spaces	RIPE NCC, ICANN	900
ბრენდინგი/Branding	ბანერები, ბეიჯი, ლენტები, დღის წესრიგი/ banngers, bedges, agenda	ISOC	400
ბეჭდური მასალები/Printing materials	ბანერები, ბეიჯი, ლენტები, დღის წესრიგი/ banngers, bedges, agenda	ISOC, RIPE NCC	1429
გალა ვახშამი/Gala Dinner		ISOC	1670
სოციალური ღონისძიება/Social Event	Kakheli wine tour, transportation,	LTD "SystemNET"	1300
report translation and editing /ანგარიშის მომზადება, თარგმნა, რედაქტირება	report translation and editing	ICANN	460
სხვა ხარჯები Other expenses	Accountant, guide, planning and etc	ICANN, ISOC, TOA	320
TOT			12243

მედიის დაფარვა Media Coverage

<https://imedinews.ge/ge/teqnologiebi/89058/tbilisi-internet-mmartvelobis-porums-maspindzlobs>

<https://commerciant.ge/ge/post/internetmmartvelobis-meotxe-forumis-geoigf-2018-tbilisshi>

<https://www.isoc.am/en/news/>

<http://www.economy.ge/?page=news&nw=986&lang=en>

<https://allevents.in/events/georgian-internet-governance-forum-2018/20003034651757>

<http://www.ghn.ge/com/news/view/217162>

<http://businesspost.ge/geo/page/news/2734>

<http://www.info9.ge/arqivi/2018/12.html?lang=ka-GE>

<https://icause.com/events/georgian-internet-governance-forum-2018/20003034651757>

ვიდეო ლინკები Video Links

https://www.youtube.com/watch?v=tK_xFffbKX8

<https://www.youtube.com/watch?v=JzsWCkFxaf8>

<https://www.youtube.com/watch?v=Kr2nzwOz2dY>

<https://www.youtube.com/watch?v=4k-K93a7PRA>

<https://www.youtube.com/watch?v=Ir9rJIhA-pE>

https://www.youtube.com/watch?v=_RHrlOTBTEQ